

მდინარეთა წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების გათვლა  
მდინარე ვერეს მაგალითზე

*მერაბ ალავერდაშვილი, გიორგი ბრეგვაძე, ნუნუ ცინცაძე,  
ნანა კოკაია, დარეჯან კიკნაძე, ნესტან ხუფენია*

ელ-ფოსტა: [merab.alaverdashvili@tsu.ge](mailto:merab.alaverdashvili@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმი, მრავალწლიანი დაკვირვებებიდან გამომდინარე, წლის თბილ პერიოდში უეცარი თავსხმა წვიმების შედეგად, ხასიათდება დიდი წყალმოვარდნებით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, გახშირდა მათი რაოდენობა და სიძლიერე. ნაშრომში წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების გათვლა მოცემულია შეზის ფორმულის გამოყენებით. მაგალითის სახით, მდინარე ვერეზე 2015 წლის 14 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის ხარჯის გათვლა ნაფეტვრების ხევის შეერთების შემდეგ მიმდებარე კვეთისათვის მოცემულია ორი მეთოდით - სოკოლოვსკის და შეზის ფორმულების გამოყენებით, ხოლო ნაფეტვრების ხევთან გათვლილი მაქსიმალური ხარჯის მიხედვით ლაბორატორიის კვეთისათვის და მთლიანად მდინარე ვერეს აუზისათვის მათი ფართობების ფარდობითი კოეფიციენტების გამოყენებით მიღებულია 14 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის მაქსიმალური ხარჯების მნიშვნელობები, შესაბამისად 477 და 512 მ<sup>3</sup>/წმ ოდენობით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაფეტვრების ხევთან არსებული მაქსიმალური ხარჯების სამივე შედეგის შედარებით ჩანს, რომ ისინი საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან, რაც მიგვანიშნებს ჩვენს მიერ ლაბორატორიის კვეთში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, შეზის ფორმულის გამოყენებით გათვლილი წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების საიმედოობაზე.